

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი №28

ქ. ახმეტა

18 დეკემბერი, 2017 წელი

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე

თავმჯდომარეობდა:

თამარ ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრები:

რ. ბაღაკაშვილი, ა. შათირიშვილი, თ. ბორჩაშვილი, ა. ხიზანაიძე,
ბ. ჭიჭიკლიშვილი, ა. მექვევრიშვილი, გ. ხუცურაული, ა. ბულრიძე,
რ. გახუაშვილი, ვ. სუხოშვილი, თ. წითელაური, დ. იმერლიშვილი,
ი. მრელაშვილი, ლ. ითიურიძე, ლ. უძილაური, დ. ახალკაციშვილი,
შ. ტერტერაშვილი, გ. მასურაძე, თ. მოზაიძე, დ. ავაზაშვილი,
ვ. დედაბრიშვილი, ფ. შიომღვედლიშვილი, ნ. ალავიძე,
თ. ბოდაველი, გ. ხადიშვილი, ლ. გოგოთიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი /

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;
/მომხსენებელი - ლუბუმი შეთეკაური/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება

23 - მომხრე

4 - მონაწილეობა არ მიიღო

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

მომხსენებელმა აღნიშნა ცნობილ იქნეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ზაზა მიგრიაულის (პარტიულ სიაში №1) ადგილმონაცვლედ საკრებულოს წევრობის კანდიდატი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-დან გელა ხადიშვილი (პარტიულ სიაში №9).

საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა საკრებულოს სხდომის დამსწრე წევრებს გააცნო საკითხი, ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ:

ადგილობრივი შემოსავლები:

კლება(-):

1. საშემოსავლო გადასახადი შემცირდა -----175,0 ათასი ლარით
2. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემცირდა -- 88,0 ათასი ლარით
3. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის- 1,0 ათასი ლარით
4. ჯარიმები, სანქციები და საურავები -----10,0 ათასი ლარით
5. არაფინანსური აქტივების კლება-----135,0 ათასი ლარით.
სულ ადგილობრივი შემოსავლები შემცირდა-----409,0 ათასი ლარით

მატება(+)

1. საწარმოთა ქონების გადასახადი გაიზარდა +23,0 ათასი ლარით
2. სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი +60,0 ათასი ლარით
3. არასასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი +20,0 ათასი ლარით
4. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი გაიზარდა +170,0 ათასი ლარით.
5. ბანკის მომსახურების % ----- +25,7 ათასი ლარით
6. სანებართვო მოსაკრებელი----- +9,0 ათასი ლარით
7. შენობა ნაგებობების იჯარა----- +20,0 ათასი ლარით
სულ შემოსავლების ზრდა----- +327,7 ათასი ლარი.

სხვაობა $409,0-327,7=81,3$ ათასი ლარით შემცირდა ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა .

ხარჯები:

კლება(-)

1. მერია ----- 8,0 ათასი ლარი
მ.შ. ა)არაფინანსური აქტივები) -----5,0 ათასი ლარი
ბ)ვალდებულებების კლება-----3,0 ათასი ლარი
2. საკრებულო(სოცფუნდების)-----2,0 ათასი ლარი
3. აიპ თუშეთის ლანდშაფტი(სუბსიდი)---4,0 ათასი ლარი
4. ზოგადი განათლება(არაფინანსური)---4,0 ათასი ლარი
5. საზოგადოებრივ ტრანსპორტი-----2,4 ათასი ლარი
6. სპეცტექნიკის შეძენის ხარჯი-----1,6 ათასი ლარი
7. ხიდები(არაფინანსური)-----80,0 ათასი ლარი
8. სანიაღვრე არხები-----4,5 ათასი ლარი
9. ხევების გაწმენდა-----20,0 ათასი ლარი
10. ბინათმშენებლობა-----40,0 ათასი ლარი
11. სპორტული მოედნები-----10,0 ათასი ლარი
12. ბაღები(არაფინანსური)-----60,0 ათასი ლარი
13. ნაპირსამაგრი (არაფინანსური)-----15,0 ათასი ლარი
14. სკვერები(არაფინანსური)-----4,0 ათასი ლარი
15. ააიპ სოციალური სახლი(სუბსიდი)---7,0 ათასი ლარი

სულ ჯამი: ----- 262,5 ათასი ლარი
მატება(+)

- 1. მერია + 69,2 ათასი ლარი
 - მ.შ. - საწვავი +4,8 ათასი ლარი
 - შტატგარეშეთა ანაზღაურება +2,5 ათასი ლარი
 - მივლინება ქვეყნის შიგნით +1,0 ათასი ლარი
 - მივლინება ქვეყნის გარეთ +2,7 ათასი ლარი
 - სოციალური უზრუნველყოფა +16,0 ათასი ლარი
 - ნორმატიული აქტები + 2,0 ათასი ლარი
 - ელექტრო ენერჯის ღირებულება +15,0 ათასი ლარი
 - წარმომადგენლობითი ხარჯი +7,0 ათასი ლარი.
 - მცირეფასიანი ინვენტარი(სანიტარული საგნები)+3,0 ათასი ლარი
 - საოფისე ინვენტარი +2,0 ათასი ლარი
 - კატრეჯების დატენა და შეძენა +3,0 ათასი ლარი
 - სხვა დანარჩენი----- +0,7 ათასი ლარი
 - გრანტი +9,5 ათასი ლარი(კახეთის განვითარების სააგენტოს)
 - 2. შესყიდვების და აუქციონების ხარჯი--- +0,4 ათასი ლარი
 - 3. საკრებულო (ტრანსპორტის საწვავ /საპოხი მასალები)-----+2,5 ათასი ლარი
 - 4. ----ახალგაზრდული ორგანიზაციები----- +4,0 ათასი ლარი(ნაძვის ხის შეძენა)
 - 5. თავდაცვა ---- + 1,1 ათასი ლარი
 - მ.შ. მივლინება 0,2 ათ.ლ. კომუნალური-0,5 ათ.ლარი, საწვავი-0,4 ათ.ლ
 - 6. გარე განათების ელ -ენერჯის ღირებულება +26,0 ათასი ლარი
 - 7. ჭაბურღილების ელ.ენერჯის ღირებულება +12,0 ათასი ლარი
 - 8. გზების კაპიტალური ხარჯი + 50,0 ათასი ლარი
 - 10. მკურნალობის ხარჯი +7,0 ათასი ლარი
 - 11. ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდია--- +7,0 ათასი ლარი.
 - 12. წყლის სისტემების კაპიტ. ხარჯი----- +2,0 ათასი ლარი
- სულ ხარჯების ზრდა +181,2 ათასი ლარი

262,5-181,2=81,3 ათასი ლარი

ე.ი. 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯებიც შემცირდა 81,3 ათასი ლარით

ა(ა)იპიებში შიდა ცვლილებები:

- 1.ა(ა)იპ სოფლის წყლის მართვის ცენტრის ხარჯებში კაპიტალურიდან 8,0 ათასი ლარი გადატანილი იქნა სუბსიდიამი
- 2. ა(ა)იპ ბესიკ მამიაურის სახელ სკოლის არაფინანსურიდან 1,4 ათასი ლარი გადატანილი იქნა სუბსიდიამი
- 3.ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდიიდან 1,2 ათასი ლარი გადატანილი იქნა კაპიტალურ ხარჯებში.

ცვლილება მთავრობის განკარგულებებში:

1. #480 განკარგულება

კლება (-)

ზრდა (+)

- ა) ბინათმშენებლობა....-25 108 ლარი;
- ბ) წყლის სისტემები.....-12 358 ლარი;
- გ) ბაღები-20 415;
- დ) გზები- 30 958.

ა) ნაპირსამაგრი..... +5 041 ლარი.

ჯამი: 88 839

5 041

სულ #480 განკარგულებით თანხა შემცირდა 83 798 ლარით.

შენიშვნა:480 განკარგულებით განხორციელებულ ცვლილებების შედეგად საზედამხედველო კომპანიზე გადასარიცხი თანხის ოდენობამ შეადგინა:

ა)გზები 51565 ლარი

ბ) ხიდები 9250 ლარი

ბ) ნაპირსამაგრი სამუშაოები 5041 ლარი.

სულ 65856 ლარი

2. #1401 განკარგულება

კლება (-)

- ა) გზები - 2947 ლარი
 - ყვარლის ქ..... -1520 ლარი
 - თბილისის ქ..... -1427 ლარი

ბ) ბაღები (ქვ. ალვნის ბაღი)..... -7959

სულ #1401 განკარგულებით თანხა შემცირდა 10 906 ლარით.

3. #693 განკარგულება

- ა) გზები (ყვარელწყალი; ბაწარა)..... -20 793 ლარი;
- ბ) ნაპირსამაგრი (ჯოყოლო)..... -18825 ლარი;
- გ) ხიდები (დუისი-ქვ. ხალაწანი)..... -5722

სულ #693 განკარგულებით თანხა შემცირდა 45 340 ლარი.

აზრი გამოთქვას:

შაქრო ტერტერაშვილმა აღნიშნა, სასურველი იქნება, თუ სხდომას დაესწრება აღმასრულებელი ორგანოდან თანხების ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

21 - მომხრე

3 - წინააღმდეგი

3 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №27: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა წევრებს განუმარტა, რომ ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოწვეულია ახმეტის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, აგრეთვე დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფების მაღალი მომართვიანობით, დაუფინანსდეთ სტაციონალური მკურნალობის, ოპერაციის, ლაბორატორიული გამოკვლევებისა და შესაბამისი მედიკამენტების თანხები.

პროგრამის ბიუჯეტის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ შიდაგადანაწილებით, ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი“-ს უფასო სასადილოს დაფინანსების პროგრამაში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე, შესაძლებელია ზემოაღნიშნული მოთხოვნად პროგრამებში თანხის გადანაწილება.

ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევს ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რათა გაზარდოს ეკონომიკურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, აგრეთვე დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემების მქონე ავადმყოფების სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციის, ლაბორატორიული გამოკვლევებისა და შესაბამისი მედიკამენტებისთვის გამოყოფილი თანხები--პროგრამის ბიუჯეტის მაქსიმალურად ათვისების ხარჯზე.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის 3 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ #2-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

აიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი“-ს უფასო სასადილოს დაფინანსების პროგრამაში, რომელიც განსაზღვრულია 136 000 ლარით, წლის ბოლოსთვის წარმოიქმნა ეკონომია-- პროგრამის ბენეფიციართა გარდაცვალების, სხვა საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის და სხვა გარემოებათა გამო, რაც საშუალებას გვაძლევს 7 000 ლარი მივმართოთ პროგრამის უფრო მოთხოვნად მუხლებში, კერძოდ,

ზემოაღნიშნული თანხიდან

1. ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშების დაფინანსებას დაემატოს 5 000 ლარი;
2. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემების მქონე ავადმყოფთა შესაბამისი მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილ თანხას დაემატოს 2 000 ლარი;

აზრი გამოთქვას:

შაქრო ტერტერაშვილი დაინტერესდა, რა იწვევს კონკრეტულ ცვლილებებს, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს დამოკიდებულია განსაკუთრებით, ონკოლოგიური პაციენტების მომართვიანობის მატებით, რასაც რათქმა უნდა წინასწარ ვერ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მერია, სწორედ ამიტომ ხშირად გვიწევს ცვლილებები აღნიშნულ დადგენილებაში .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

22 - მომხრე

2 - წინააღმდეგი

3 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №28: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ. ახმეტაში, სტალინის ქუჩა N103-ში (ახლანდელი ჭავჭავაძის ქუჩა) მდებარე შენობის II-ე სართულზე არსებული 67,8კვ.მ საიჯარო ფართის (ს/კ 50.04.42.103) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ათი წლის ვადით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ გადაცემა.

საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

22 - მომხრე

5 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №77: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო საკითხი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები თანდართული სახით.

საკითხმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა:

შაქრო ტერტერაშვილმა აღნიშნა, რომ პრიორიტეტები არასწორად არის შერჩეული, ამიტომ არ დაუჭერ ასე დაგეგმილ პროექტს მხარს. საჭიროა სოფლებშიც გავიხედოთ, მაგალითად სოფ. მატანში სასაფლაომდე მისასვლელი გზა ფაქტიურად არ არსებობს.

არჩილ მექვეერიშვილმა აღნიშნა, რომ მხარს უჭერს აღნიშნულ პროექტებს, თუმცა შემოდის წინადადებით ე.გ. წოდებულ წყაროებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი თანხა ქალაქის შიდა გზების მოსაწესრიგებლად დაიხარჯოს, რადგან მოსახლეობაში ეს პრობლემა დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

თამარ ყეინიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ პროექტში აქცენტი ახმეტაზეა გამახვილებული, ეს კეთდება ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, რათა განვითარდეს ტურიზმი ჩვენს ქალაქში,

საიდანაც ისევ და ისევ მოსახლეობა მიიღებს სარგებელს. სწორედ ამიტომ მე მომხრე ვარ მხარი დავეჭირო აღნიშნულ პროექტებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

18 - მომხრე

6 - წინააღმდეგი

3 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №78 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13²⁵ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი